დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 20 ნოემბრის №10 სხდომის ოქმით.

შეტანილია ცვლილებები 2013 წლის 12 ივლისის N10 და 2015 წლის 17 აპრილის N2 სხდომის ოქმებით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა საქმიანობაში ფინანსური ანაზღაურების შეუთავსებლობის შესახებ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული პირები ხშირად ერთდროულად ეწევიან სხვადასხვა სახის აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობებს. საფინანსო გამჭვირვალობისა და შრომითი საქმიანობის ეფექტიანობიდან გამომდინარე:

1.დაუშვებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული ერთი და იგივე პირი ანაზღაურებას იღებდეს ორი აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობისათვის. კერძოდ, დაუშვებელია ანაზღაურებადი პროფესორი ანაზღაურებას იღებდეს როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტის მკვლევარი და პირიქით. ასევე ერთ ფაკულტეტზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი არ შეიძლება ანაზღაურებას იღებდეს მეორე ფაკულტეტზე საქმიანობისათვის. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში თუ დაფინანსება მოპოვებულია სხვა წყაროებიდან.
2.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფაკულტეტების და ინსტიტუტების, ცენტრების, ლაბორტორიების, ადმინისტრაციის და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირი, რომლის ანაზღაურებაც აღემატება ასისტენტ-პროფესორის ანაზღაურებას, დაუშვებელია დამატებით ანაზღაურებას იღებდეს სალექციო ან სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობისათვის.

2[1]. (12.07.2013) 1. დაუშვებელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაქმებული რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მათ შორის ინსტიტუტის, ცენტრის თუ ლაბორატორიის დირექტორი და მისი მოადგილე, იღებდეს დამატებით ანაზღაურებას უნივერსიტეტის შემოსავლებიდან, თუ მისი ხელფასი უთანაბრდება ასისტენტ-პროფესორის ხელფასს. გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს აქვს განსაკუთრებული შეთანხმება სახელმწიფოსთან:

ა) მათ შორის სახელმწიფო სუბსიდიის ფარგლებში მიღებული დაფინასება;,

ბ) სტრუქტურულ ერთეულს აქვს მიღებული საგრანტო დაფინანსება, სადაც ფიგურირებს შესაბამისი მუხლი ;

გ) სტრუქტურული ერთეული განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში;

დ) უწევს კოორდინაციას რეგიონალური მნიშვნელობის საკითხებს;

3.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფაკულტეტების და ინსტიტუტების, ცენტრების, ლაბორტორიების, ადმინისტრაციის და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში

დასაქმებული პირი, რომელიც ამავდროულად არ არის უნივერსიტეტის პროფესორი, შეიძლება ჩართული იყოს სალექციო საქმიანობაში და იღებდეს დამატებით ანაზღაურებას, გარდა ზემოთ დადგენილი შემთხვევისა. ამასთან, ამით ზარალი არ უნდა მიადგეს მასზე დაკისრებული ძირითადი ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას.